№ 19 22 თებერვალი, ქვირა 1866—1876 22 თებერვალი, ქვირა № 19

დროება

რედაქცია
Ველიამინოვის ქუჩაზე, Არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი
წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა 1876 წლისა

ამ 1876 წელს გაზეთი

„დროება"

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს 1875 წელს გამოდიოდა.

რედაქცია ეცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

ხელის-მოწერა მიიღება თ ფ ი ლ ი ს ი ში—„დროების" რედაქციის კანტორაში (Ველიამინოვის ქუჩაზე, Არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (Ბანოვის ქუჩაზე, Ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба."*

სხვა ქალაქებში „დროებაზე" ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ჭუთაისში — Ივანე მესხთან და Ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, ფოთში—Ელ. ს. ბაბალოვთან, Ახალ-სენაკს — Ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს—თ. Ტარ. Ალექ. Დადიანთან, ოზურგეთს—თ. Ანტ. ნაკაშიძესთან, ყვირილაში—მ. Დავ. Ღამბაშიძესთან, ბორს—Ვასილ Დეკანოზოვთან, სიღნაღს—Იოსებ სულხანოვთან და თელავს—თ. Ლევან Შანდიერთან.

გაზეთის ფასი—გაგზავნით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	— „
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა.	2	და 50
ერთის თვისა	1	— „

ამჟამ საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ 1876 წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების" აგენტები იკისრებენ.

ვითხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი.

თფილისის ღუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი საყოველთაოთ აცხადებს, რომ წელს, 1 მაისიდამ დაიწყება ჩვეულებრივი კრება ღუბერნიისა და უეზდის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა აღსარჩევად. (3—2)

თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო განკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, წესდების § 83 მუხლის საფუძვლით, აცხადებს, რომ ჩვეულებრივი საზოგადო კრება განკის თათბაზე დაიწყებს თავის სხდომებს ამ 1876 წლის მაისში. უფრო დაწვრილებით თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (3—2)

საქართველო

დღიური

—

ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში ჩვენი ქალაქი დეპუტაციას აგზავნის თფილისშიო, დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკისთვის მადლობის გადასახდელად იმის გამო, რომ ჭუთაისს ახალი გამგეობის წესი მიენიჭა.

*
* *

გაზეთი „კავკაზი" გვაცნობებს, რომ ამ წელს ახალი ყოველდღიური ფურცელი გამოვაო, რომელსაც სახელად „განცხადება" ერქმევა. ამ ფურცელში მხოლოთ სხვა და სხვა განცხადება დაიბეჭდება.

*
* *

ჩვენ გაგვიგონეთ, რომ აქაურ უმაღლეს წრეში ქართულ-სომხური სამუდამო სცენის დაარსებაზედ არის მოლაპარაკებაო. ამბობენ, ტრუპპა ჰსურთ შეადგინონ და სათამაშო ალაგათ კავკასიის მუზიკალური საზოგადოების ზალა უნდა მისცენო.

ქართულ-სომხური ტრუპპის შედგენა რომ საჭიროა და შემდგენელს მატერიალურ სარგებლობასაც მოუტანს,—ამაზე ჩვენ რამდენჯერმე გვილაპარაკნია და ამის სისრულეში მოყვანაც ბევრჯელ გვინატრია. ახლა მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ მუზიკალური საზოგადოების ზალაში სცენის გამართვა არ გამოდგება, რადგან ხალხი იქ არ დაიარება, რაც უნდა მშვენიერი რეპერტუარი იყოს და დახელოვნებული ტრუპპა თამაშობდეს.

*
* *

„თფილისის მოამბეს" როსტოვიდამ მოუვიდა დეპეშა 19 თებერვალს, რომ კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსი, სენატორი

ფელტონი

ნადუღი

—

ძორს წიწილი მიჰქონდა.

ზარმაც პატარძალს სახლიდამ ფეხის გამოდგმა შეეზარა და დერეფნიდამ ფეხ-მოკეცილმა მიაყვირა: „ჰაუ! ჰაუ: ჰაუო!" ძორი ჰაერში შეშინდა და მსხვერპლი კლანჭებიდამ გამოუვარდა.

დედა-მთიელი გაუანჩხლდა რძალს და უთხრა:

— შე ზარმაცო, ზეზე რომ წამომდგარიყავ, კარში გასულიყავ და ისე მიგეძახებია ქორისათვის უკეთესი არ იქნებოდა?

— მაფრენა მე არ ვიცოდი და წიწილი აქედამაც გაეგდებინეო! მიუგო რძალმა.

ამისი არ იყოს, ავათ იყო თუ კარგათ, იმდენი „ჰაუ! ჰაუ!" იძახეს ჩვენმა ყმაწვილებმა, რომ ხალხი გამოაღვიძეს.

დღეს ის სულიერ საზრდოსა თხოულობს, და ხელის შემწყობი მისთვის საჭიროა.

ამ უკანასკნელს დროში, სხვათა შორის, მათში კითხვის სურვილი აიძრა. ეს შენიშნეს ზოგიერთებმა და იწყეს სხვა-და-სხვა წიგნების ბეჭდვა. ქეთილი და პატიოსანი; მაგრამ ქეთილი საქმისთვის მარტო სურვილი არ არის საკმაო. უნდა ის მოთავეები კარგათ არჩევდენ ავსა და კარგს; იცოდენ—რა აწყენს და რა არგებს ხალხს, თორემ მარტო იმას რომ მიხედონ, რომ კითხულობენო ჩვენგან დაბეჭდილ წიგნებსაო, ეს ძალიან ცოტა იქნება. მშიერს რომ მადა გაელვიძება, მაენებელი რამეც რომ მიუტანოთ, ხარბათ დაუწყებს ჭამას, მაგრამ საბოლოოთ კი არ არგებს.

„Ალექსიანის", „ძალ-ვაჟიანის", „Ყარამანიანისა" და სხვა-და-სხვა სულელიანების გამომცემლებს ასე ჰგონიათ, რომ სახალხო წიგნი იმასა ჰქვიან, რომელიც ერთ შაურზედ მეტათ არ იყიდებაო, და იღვწიან თავმოწონეთ!!

ეს მათი შრომა და მოღვაწეობა გულ-წრფელობითა ვიცით, მაგრამ ენებას მაინც მოიტანს, აბაში ეჭვი აღარ არის. იმათ უგნურებისაგან ესმისთ ქება და თავი მართლა მოწინავე კაცებათ ჰგონიათ და ეითომ უელიან ხალხს!... აი მეხი, კი დაეყაროს იმათ მოწინაობას!

ჰეშმარიტათ, რომ საცოდაებიც არიან ერთსა და იმავე დროსა და სასაცილოებიც: ბრჩხილების წმენდა და იღლიიდამ საღამომდე გუდა-ფშუტა სოკოსავით ბერვა საქვეყნო საქმე ჰგონიათ და ხალხისაგანაც თაყვანის ცემას ითხოვენ.

მართალია, ამ გაბერილებს დიდი დღე არა აქვსთ ხოლმე, მალე იჩუტებიან; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთი წყება რომ დაეცემა იმ ცრუბრძნებისა, მეორე მათ გვარიეე ამოჰყობს თავს და მათის წყალობით ახალ-გაზდა ნიჭიერებს გზა ეხლართებათ.

ეს აგერ ოცი წელიწადია, ეს უხეირო და სულელური მოვლინება თავს იჩენს და დღესაც სათვალაეშია. აწ კი დროა, რომ სულელებსა და უნიჭოებს მაინც მიეცესთ შესაფერი და სახალხო საქმეში არ ერეოდენ. თუ კეთილი საქმე უნდათ, უმჯობესი არ იქნება, რომ თოხსა ან სხვა რამეს მოჰკიდონ ხელი, რომელსაც უფრო მოახერხებენ და რაზედაც ბევრი ნიჭი არა სჭირიათ, ვიდრე უნიჭოდ და უთავბოლოდ ხალხს წიგნები უბეჭდონ და უთავკაცონ?

აბა ერთი გასინჯეთ, რაც ახლა სტამბებში სახალხო წიგნები გამოდის, რომელსაც სახალხო ჰქვიან, და ნახავთ თუ რა მაენებელია ხალხისათვის. მისის რჩევითა და თაოსნობით ის წიგნები იბეჭდება, რა ეთქმისთ იმათ ამბის მეტი, რომ, ძმებო, კარგი კაცები ხართ, გიყვარსთ ჩვენი ხალხი; მაგრამ, რადგანც თვითონ თავი არა გაქვსთ, ცოტა სიფრთხილით მოიქეცით და თქვენზედ ჭკვიანებსა და უფრო გამოცდილებს დაეკითხეთ ხოლმე!...

ძლუშინი ხსენებულს ქალაქში მისულა; მაგრამ, რადგანაც როსტოვ-ვლადიკავკაზის გზა, ცუდი ტაროსის გამო, შეკრულიაო, ამიტომაც ჯერ ამ ქალაქიდამ ვერ გამოსულაო.

*
* *

მ. დ. ღამბაშიძე გვთხოვს გაზეთში მაინც გამოვაცხადოთ იმის სახიერი, რომელიც ამას წინათ თფილისის რკინის გზის სტანციაზე უნდოდა სახიერის წიგნში ჩაეწერა, მაგრამ ნება არ მისცეს.

სახიერის საგანი შემდეგი გარემოება ყოფილა:

მოძჩიევანს თამბაქოს სუნი ეჯავრება თურმე და ამის გამო ისეთი ვაგონი ამოურჩევია, რომელზედაც ეწერა: „იმ პირთათვის, რომელნიც თამბაქოს არ სწევენ.“ მაგრამ ერთი საათის განმავლობაში ყველას პაპიროსები გაუჩრიათ პირში და ვაგონი ბოლით გაესებულა. სიცივე იყო და ფანჯრების გაღება არ შეიძლებოდაო. ერთ დედაკაცს ძუძუმწოვარი ყმაწვილი მოჰყავდაო და ისე შეაწუხა ეს ყმაწვილი ბოლმაო, რომ პირიდამ საქმება და ხველა დაეწყებინაო. ოლბერ-კონდუქტორს მოახსენეს ეს ამბავი: პასუხის მაგიერად, იმან ამოიღო თურმე ჯიბიდამ პაპიროსი და თვითონაც წევა დაიწყო. და როცა თფილისის სტანციაში მოვიდომა მ. ღამბაშიძემ სახიერის წიგნში ჩაწერა, სტანციის უფროსმა წიგნი არ დაანება....

*
* *

გუშინ წინ, ღამის პირველ საათზე, უფ. პ. პაპანაძეს ცხრა ავაზაკი დაეცა ნავთლულთან. მაგრამ ბევრი ვერაფერი გაუტანიათ: ორი იმათგანი უ. პაპანაძეს იქვე დაუწვენია რევოლვერით და დანარჩენი კი გაქცეულან....

*
* *

მასულ კვირას შუთაისში ყოფილა უფ. მ. სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს“ წარმოდგენა, რომელშიაც, სხვათაშორის, ქლ. უიფიანის ქალსა და ქ. უიფიანსაც მიუღიათ მონაწილეობა.

ჩვენ გვითხრეს, რომ ამისთანა კარგი წარმოდგენა დიდი ხანია არ უნახავს შუთაისის საზოგადოებასაო. წარმოდგენა ერთი ქართული სცენის მოყვარე ქალის სასარგებლოდ ყოფილა; როგორც ამბობენ, ხარჯს გარდა, ჩვიდმეტ თუმნამდინ დარჩაო.

უცხო ქვეყნები

გერმანია. აპრილის თებერვალს დაიხურა ბერმანიის პარლამენტი. ბისმარკმა დახურა თვითონ დიმპერატორის მაგიერად მან წაიკითხა სიტყვა, სადაც მადლობას სწირავდა პარლამენტს ამ წასული სესიის შრომისათვის და აცხადებდა იმედს, რომ შემოდგომაზედ, როცა ხელ-ახლავ შეიყრის თავს პარლამენტი, ისევ იმ შრომის სიყვარულით და იმპერატორის მოწრჩილებით შეუდგებიან საქმეს რომელიც ამ წასულ სესიის დროს გამოიჩინეს.

ამ წასულ სესიაზედ იყო მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი; ამ კოდექსის გარჩევამ დაიჭირა თითქმის მთელი სესიის დრო. კოდექსში იყო მიღებული სხვათა შორის სამი მუხლი, რომელთაც მიაქციეს საყოველთაო ყურადღება. ერთი 49 მუხლი სჯის ოარის ან სამის თვის დატუსაღებით იმ პირს, რომელიც განიზრახავს სხვის სიკვდილს. ეს მუხლი იმ შემთხვევის გამო მიიღეს, რომ თითონ ბისმარკის სიკვდილი მოინდომეს ხოლმე. მეორე არის 130 მუხლი; აქ არის დანიშნული ორ წლამდის დატუსაღება ციხეში ან საჰყრობილეში იმ საძღვდელო პირთა, რომელნიც ეკკლესიაში ანუ სხვა ადგილს, სადაც დიდი კრება იქმნება, იქადაგებენ მართებლობის წინააღმდეგ, ან საზოგადოდ მისცემენ პოლიტიკურ ხასიათს თავის სალმრთო ქადაგებას. მესამე მუხლი არის 353, ან როგორც ეხლა უძახიან არნიმის მუხლი, რადგანაც ამ მუხლს მარტო ის შემთხვევა აქვს სახეში, რომლისათვისაც არნიმი იყო სამართალში მიცემული. აქის წინააღმდეგობა ისჯება, რომელიც შეუძლია გაუწიოს ელჩმა თავის უმფროსს— უცხო ქვეყნის საქმეების მინისტერს.

ერთს პრუსიის პროვინციაში, პოზნანში, სადაც პოლშელები ცხოვრებენ, ყოფილა სახალხო კრება; ამ კრებას შეუდგენია თხოვნა პრუსიის უმაღლესს პალატაში მისაცემად; ისინი აცხადებენ თავის წინააღმდეგობას იმ კანონისთვის, რომლის ძალით ყოველი ოფიციალური საქმეები და მიწერ-მოწერა უნდა იქმნეს ნემეცურ ენაზედ. თხოვნაში არის ნაჩვენები, რომ პოლშელებს ოფიციალურად ჰქონდათ დაპირებული ნაციონალური ენის ხმარება. ტყუილადა ჰგონიათ, რომ ეხლანდელი სწავლის სისტემით მოსპობენ ჩვენი დედა ენის ხმარებასო; ვინც ეს სისტემა გამოიგონა ამ ენის მოსასპობლად, მალე დაინახავს ამ საშუალების უსარგებლობას. ეხლა ამ ენის აკრძალვა ადგილობრივ სასამართლოებში იქნება უსაშინელესი და მეტად საზიზღარი უსამართლობა.

—

გერცოგოვინა. უკანასკნელი ტელეგრაფი გვატყობინებს, რომ აჯანყებულებში ძალიან გული-გრილობა ჩამოვარდნილა; მრავალი მათგანი ემორჩილება თურმე კიდევაც ოსმალეთის მართებლობას. მმეორეს მხრით იმ ნაწილშიდაც, სადაც აჯანყებას თავის საქმეებს და პრუნდება სახლში, რომელთაც ადრე სრულებით არ უნდოდათ დამორჩილება. ავსტრიის მხრითაც დიდი ცელილება ჩნდება დღემდის ისევ აჯანყებულებს უფრო მეტი შემწეობა ქონდათ, ხვანთქრის ჯარი მაგრათ იყო თავშეკავებული სამზღვრებზედ; ეხლა-კი თითქმის თავისუფლად დადიან ავსტრიის სამზღვრებზედ და ავსტრიის მხრით არავითარი წინააღმდეგობა და დაბრკოლება აღარა სჩანს. როგორც ეტყობა, ეხლავე გამოიჩინა თავის გაველენა ანდრაშის ნოტამ.

სოფლური შენიშვნები

ოჩხრობა *)

ამ ოჩხრობაში გამოიჩინა თავი ერთმა ამ უეზდის მცხოვრებელ გლეხთაგანმა, რომელსაც არა ჰყავს ბადალი სიმდიდრითაც და გაველენითაც. ამან მოიტანა ერწოში ოჩხარი იმ დროს, როდესაც სრულებითაც არავინ არა ფიქრობდა: „კაცი არის ბერხიანი, ჭკვიანი, ანგარიშიანი, რომელმაც გაიარა ცეცხლსა და წყალს შუა, დაიწყო მოჯამაგირობით და გაათავა სიმდიდრით.“ მეტი ანგარიშიანი რა გინდათ,—ჭიზიყში შიმშილი, იქ პურის საშინელი ძვირობა; ერწოში კარგი მოსავალი, ბევრი ნაცნობები, უნდა საქმე აჩქარდეს, რომ სხვამ არავინ დაასწროს... მართლაც აჩქარებულიყო ეს „წმიდის და წრფელის აზრით“ საესე. პურის ოჩხარი საზოგადოთ მოაქვთ შემოდგომაზე, როცა გლეხი ლეწვას მოჰრჩება; მაგრამ ახლა ამან მოიტანა კალოობის დაწყობის დროს.

გლეხმა იცის, რომ იმას ბევრი მოვალე, მოხარჯე მოადგება კარზედ, იმას ბევრი მყვლეფელი და მტაცებელი გამოუჩნდება, იმის სისხლის ოფლით შრომის ორ-მესამედს ისინი წაი-

*) „დროება“ № 18

მაგრამ რას მიქვიან.... ვინ გაუბედავსთ ამის თქმას? იმათ თავი გენიოსებათ მიაჩნიათ და სხვებს უპირებენ დარიგებას. იბერებიან რაღა!. სასაცილოა და სამწუხარო ერთსა და იმავე დროს!...

მაგრამ მათზედ უფრო სასაცილო ის არის, რომ ზოგიერთები და ძალიან ბევრნი იმათ მართლა რაღაცაებათა სთელიან და ესარჩლებიან!

ამ კაცების შემხედვარემ, მე ამას წინათ ერთს ძალიან ჭკვიან კაცსა ვკითხე:

— რა არის რომ ჩვენში ამგვარი უნიჭოები თავსა ჰყობენ და კეთილდღეობაში არიან და ღირსეულები კი იჩრდილებიან თქო?

და იმან ასე მიპასუხა:

— ჩემო ძმაო, ჭკვიანობისთანა სისულელე ჩვენში არა არის რა. ბარეგნობა, გარეგნობა, დიდი საქმეა გარეგნობა ჯერ კიდევ, სანამ ხალხს ჰკუა თვალებში აქვს!

მე თანახმა ვარ.... თქვენც მეთანხმებით ამაზედ თუ არა, ეს არ ვიცი; მაგრამ ჩვენი დაბალი წოდების ხალხი კი ამაზედ უარს ვერ მეტყვის და კიდეც მომისმენს ამ ლექსს:

—

საწყალი და დარბაისელი

ვინც ტიკიცით იბერება,
ისე დადის ამ სოფელში,
იმას რჩება მოედანი,
ბურთეიც მას უჭირავს ხელში.

—

თორემ ემისთანა საწყალს
ვინ მიაქცევს ყურადღებას?
შპირ-ბადო მაწანწალა
თავს აძლევს თვით დაეიწყებას.

—

ვინცა მხოლოდ გარეგნობით
თავს იწონებს ხალხის თვალში,
ის მოსწონთ და მის ზნეობას
არვინ ჩაუდგება კვალში!

—

თორემ ამისთანა ვინმე,
გინდა იყოს კაცი სრულიც,
გარეგანის უხერხობით
აქვს ღირსება დაფარული!...

—

გამჭრიახე ჩვენი ხალხი
თვალს იხუჭავს სიმართლეზედ:
დიდებულს ქურდს ვერას ჰკადრებს,
მართალ საწყალს იჭერს მთხლეზედ!

—

მაგალითად, ეს საწყალი
ამ დიდ-კაცსა შეეადაროთ
აეწონოთ და დავაფასოთ,
ისე, მხოლოდ სამასხაროთ!

—

დიდი კაცი მსუქანია,
თავ-მსხვილი და მუცელ-დიდა;
და თუ კარგის ზნის არ იყოს,
ჰოლოტივით რა გაზდიდა?...

—

ეს საბრალო კატის ჩაჩხს ჰგავს,
ძლივს დალოლავს ცოცხალ-მკვდარი;
და თუ არ უზნეურობით,
რისგან არი მაშ გამხდარი?

—

დიდი კაცი მდიდარია,
საწყალი კი დღიურ მუშა,
და თუ ეს ჭკვიანი იყოს,
ამის საქმე რამ დაფუშა?

—

დიდი კაცი ანგარიშით
იცინის და იჭყანება;
შიგნით სხვაა, გარეთ სულ სხვა,
გაწრთენილი აქვს გულის ნება!...

—

საწყალს კი ეს ანგარიში
არ ოდეს არ ეყურება:
სიცილის დროს სულ ხარხარობს,
და ტირის, თუ ეტირება!

—

დიდ-კაცი იქ იტყვის „დიახს“,
სადაც „არ“ არ შეიჭლება
და ამისთვის ასი რომ სთქვას,
ერთხელაც არ შეეშლება.

—

საწყალი კი სულ ტიკტიკობს,
საქმეც კი ჰსურს რომ ახსნას
და ამგვარად ასზედ ათჯერ
რომ არ შესცდეს, რა უნდა ქნას!

—

აი დიდკაცს ზნეობითი
ამაღლება რით ატყვა!
მაგრამ ამ ჩვენს დღიურ-მუშას
საწყალს ჯერ ვერ შეუტყვია,

—

რომ ვინც მხოლოდ იბერება
ჰოლოტივით ამ სოფელში,
იმას რჩება მაედანი
და ბურთიცა მას აქვს ხელში!

გ. ჭ-რთველიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებენ; ყველა ეს იცის, დრო და დრო ღრმა და წუხარე ფიქრები ჩაეარდება, მაგრამ ახლა მოძეტებულ ნაწილათ ის დამშვიდებული და უზრუნველი შეხარის თავის წვალებით და ტანჯვით მოთიბულს, მომკილს და კალოზედ დადგმულ ნაშრომს, წითლათ გაფენილ ხვაეს (ხორბალს), ის დგას კვერზედ და დამღერის „ოროველას“. იმან ამასთანავე იცის, რომ ქალიყში შიმშილიანობა დადგა, რომ იქაურები იმასთან მოელენ პურის სასყიდლათ, პური მას უჩვეულებრივ ბევრი გამოუვიდა, მაშასადამე, გასაყიდათაც დარჩება, რითაც ის მოიშორებს ხარჯს და მევალეებს. ამ დროს ის შეიტყობს, რომ ერწოში მოვიდა ოჩხრით და ჩემი ყურის გასაგონათა თქვა ამ დროს ერთმა გლეხმა: „აბა საოჩხრე რა უჭირს იმ დალოცვილს, თუ ღმერთი გწამსთ. მაგრამ არა... ღმერთს ვისთვისაც დაუწერია — დაუწერია. იმიტომა აქეთ, რომ მაგრე ხერხიანათ იქცევიან...“

დიახ, ამ პირმა დაიწყო ერწოში სოფელ-სოფელ ოჩხრის ზიდვა, ე. ი. აიღო აქვე თავის საკუთარი დუქნიდამ წყალი-ღვინო და დაუწყო ხალხს მოპატიჟება.

ერთ სოფელში ამ ოჩხარში მეც მიმიწვიეს. მე წაველი. ეს იყო, მგონია, შაბათ საღამო; გლეხებმა დაიკვირაძლეს, სამუშაოდგან სახლებში მოდიოდნენ დაღლულები. ზოგ ალაგ' მუშების სიმღერა ისმოდა. მაშლილ ბუსნოზედ არხეინათ მოკეცილები ისხდნენ: ოჩხრის მომტანი, ღედელი, აქაური მამასახლისი გზირსუდია-ნაცვლებით და ზოგიერთი მოხუცებული კაცები ხალხს ეპატიჟებოდნენ.

თვით ოჩხრის მომტანი თავისუფლათ იჯდა. მას არ უნდოდა ზრუნვა, რადგანაც იცოდა, რომ ყოველ საქმეს აქაური მოხელე და გაელენილი პირები შეუსრულებდნენ. ეს სხვაგნიდამ მოსული პირი იყო; თუმცა ბევრი იცნობდა, მაგრამ მომეტებულ ნიწილს მისი არც ცნობა სურდა და არც ოჩხარი. მაგრამ აქაური მამასახლისი და გაელენილი პირი მის სასარგებლოდ დიდს საქმეში და განკარგულებაებში იყო. ის გზავნიდა ყოველ სოფელში და სახლებში კაცებს და ჰპატიჟობდა ხალხს ოჩხარში. მოხდებოდა, რომ ბევრი არ მოვიდოდა ამ მოწვეევაზედ, — ან თავს მოიავათებდა, ან ეტყოდნენ, რომ სახლში არ არისო. იმას როდი დაანებებდნენ თავს, ჩამოეკიდებოდნენ; ორ-სამ კაცს გაუგზავნიდა ეს გლეხებისთვის მზრუნველი, ვიდრე არ მოიყვანდა. — ამ შემთხვევაში ხშირათ ოჩხრის მომტანი ეტყოდა თამამად: „უთხარით შეველორეს, რომ მობრძანდეს; ღმერთო, შენ იცი, მე იმისი არა მინდარა; ორი თასი ღვინო დალიოს, დროება გავატაროთ, უწინდელი მეგობრობა და ნაცნობობა გავაახლოთ და ყმაწვილური ამბაევები მოვაგონოთ. მერე წაიდეს და მოისვენოს.“ ახლა თქვენ მიხვდებით, თუ რას ნიშნავს ეს „არა მინდარა.“ იმას მართლაც რომ არ უნდოდეს, მოპატიჟებული როდი დაიმდაბლებს თავს სხვებსთან, როდი დაუარდება თავის მეზობლებს. — მოხდებოდა, რომ ეს აქაური მოხელე პირი, მეოჩხრისთვის მზრუნველი, გაიკითხავდა ცალკე კაცს და ეტყოდა: „წადი, უთხარ, რა დაემართა ი დალოცვილს. მანა დ — შვილი საჭიროობს იმის ერთ-ორ ლიტრაში, მაგრამ მიხედვაა. სიკეთე კაცს თავის დღეში არ დაეკარგება, უფრო ამისთანა კაცთან. სირცხვილი არ არის, რომ იევნე ბობღიაშვილი აქ იჯდეს, ის კი არ იყოს. „ამისთანა მსჯელობის დანახვა და წინააღმდეგობა გლეხისთვის ძნელია, მიტომ უფრო, რომ ეს მსჯელობა და მოპატიჟება ეგზავნება მას იმისაგან, რომელიც მუქთათ არ ჩაატარებს „ხათრის გატეხას.“ — მოდის, ეს თქვათ, გლეხი მუშაობიდამ სახლისკენ, იმას უძახიან: „მოდი, ერთი დაგველოცეო“, და ეს დასალოცავად მოპატიჟებული ვალდებულ მოპატიჟებულთ რიცხვში ჩაითვლება, როდესაც შეატყობინებენ, რომ ეს ოჩხარია. ერთის სიტყვით, ყველა აქ ნამყოფი, რომელთაც ცოტათაც ფეხი უბჯენია თავის მეზობლების და გლეხების ქვეზედ, ცდილობს, რომ ბევრი ხალხი მოუვროვონ მეოჩხრეს და დიდათ დაასაჩუქრონ ის.

არხოტიონი

(დასასრული შემდეგ №-ში)

განცხადებანი

თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის

ბ ა ლ ა ნ ს ი

1876 წლის პირველის იანვრისათვის.

	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ა კ ტ ი ვ ი				
კასსა.	„	„	227	40
ხელად მიბარებული ფული:				
ა) თფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში	19,486	22	„	„
ბ) თფილისის საეპარო ბანკში .	2,019	39	„	„
გ) თფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში	9,175	63	„	„
დ) კორრესპონდენტებს % ქალალდების გირაოთი.	20,389	63	„	„
ე) % ქალალდები თფილ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში ხელად-მიბარებული	19,490		„	„
ვ) საწევრო ფული თფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.	„	„	30	„
ბანკის კორრესპონდენტები:				
ა) რუსეთის სამზღვარს გარეთული ალებ-მიცემისათვის ბანკი.	„	„		
ბ) კორრესპონდენტები . . .	„	„	112,522	59
სესხი, გაცემული				
გრძელის ვადით				
ა) მიწებზედ (54 ½ წლით). . .	112,800			
ბ) ქალაქებში მდებარე უძრავ ქონებაზედ (18 წლითა და 7 თვით). . .	42,700		325,900	„
27 წლ. და 7 თვით.	170,400			
მოკლე ვადით.	„	„	42,615	„
სახელმწიფო სარგებლიანი და მთავრობისაგან გარანტია-მიცემული ქაღალდები, შენახული				
ა) თფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (58,500)	59,129	59	„	„
ბ) ბანკის კასსაში (500) . . .	850	„	„	„
გირაოს ფურცლები გასასყიდად (კამისიით)	(221,300)		177,040	
სესხის გადასახდელად წარძღვენილი .	„	„	„	„
გრძელ ვადიანი სესხები, რომელნიც გასაცემად დანიშნულნი არიან:				
ა) მიწებზედ (54 ½ წლით) . .	11,000			
ბ) ქალაქებში მდებარე უძრავ ქონებაზედ (27 წლ. და 7 თვით). . .	126,500		137,500	
სესხის ამღებნი:				
ა) ნაღროები გადასახადი (§ 14 წესდებისა) მოკლე ვადით	10	91	7582	62
ბ) იგივე გრძელი ვადით. . .	7,571	71		
ზასავალი				
ა) ზასაველი 1876 წლისა . . .	„	„	560	43
ბ) მოსამზადებელად და გასაწყობად	„	„	4,261	29
ზასაველი რომელიც უნდა დაბრუნდეს.	„	„	1,403	33
ბ ა ლ ა ნ ს ი. . .			940,183	42

პ ა ნ ს ი ვ ი

ძირის ფული:				
ა) გრძელ ვადიან სესხთათვის .	160,000		258,555	84 *)
ბ) მოკლე ვადიან სესხთათვის .	98,555	84		
შემონახული თავნი . . .	„	„	256	57
გირაოს ფურცლები, გამოცემული				
ა) 54½ წლის ვადით . . .	112,800	„		
ბ) 18 წლისა და 7 თვის ვადით	42,700	„	325,900	
გ) 27½ წლისა.	170,400	„		
გირაოს ფურცლები რომელიც უნდა გამოიცეს:				
ა) 54½ წლის ვადით. . . .	11,000			
ბ) 18 წლისა და 7 თვის ვადით	„ „ „		137,500	
გ) 27½ წლისა	126,500			
გადასახადი ფონდი, მისაცემი:				
ა) 54½ წლის გირაოს ფურცლებში	143	19	„	„
ბ) 18 წლისა და 7 თვის გირაოს ფურცლებში.	724	70	„	„
გ) 27½ წლით	3,923	97	„	„
სარგებლის ფონდი	13,902	„	„	„
გირაოს ფურცლების კუპონები, ანუ ნაკვეთები, რომელშიაც ფული უნდა მიეცეს	3,201	„	„	„
გირაოს ფურცლები, რომელთაც გაუქმების წილი ხედათ, მაგრამ ჯერ არ წარმოუდგენიათ დასაცელად	2,100		23,994	86
ვადაზედ აღრე გადახდილი სესხი				
ა) გირაოს ფურცლებით. . .	„	„		„
ბ) ნაღდი ფულით	„	„	„	„
დაფასების სახარჯო ფული .	„	„	„	„
% ქალალდები ხელად-მიბარებული ფულის გირაოთ			200,34	
სარგებელი მოკლე ვადიანი სესხების	„	„	„	„
კორრესპონდენტები. . . .	„	„	„	„
ჯარიმა	„	„	„	„
„ ა)	„	„	„	„
„ ბ)	„	„	„	„
დროებით შენახული ფული .	„	„	„	„
სესხის ამღებლები.	„	„	9,562	22
სხვა-და-სხვა კრედიტორები. .	„	„	150,094	37
სხვა-და-სხვა სარგებელი. . .	„	„	„	„
ბანკის მოგებისა და ზიანის ანგარიში	„	„	13,979	56
ბ ა ლ ა ნ ს ი .			940,183	42

თავს-მჯდომარე თ. ი. ჰავჰ ვაძე.
წევრნი: თ. ალ. ჩოლაყაშვილი
და თ. დავ. ავალიშვილი.
ბუხლალტერი ძრ. ხაჩატურიანი.

*) ძირის ფულს მიემატა პირველად შემოსული სარგებელი (1,205 მან. და 09 კაპ.) რომელიც წიგნების შესრულების დროს § 90 წესდების მუხლის ძალით გამორიცხულ იქმნა.

დიდის ხნის არენდით მიიცემა ადგილი 117 დესიატინა სარწყავი მიწა მდინარე Იერის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. საგარიჯოს პირ-და-პირ, სახელად „ბერეზისა“. პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლია უფ. დემენტიევს მიმართოს, არსენალის ქუჩაზე, ალდადანოვის სახლებში, № 27

(2—1)

უ. ქალანდაძის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ძუკიის ხიდზედ, ისყიდება ქართული სამზარეულო წიგნი, შედგენილი კნ ბარბარე ჯორჯაძისაგან.

ფასი ათი შაური

(4—2)

თივა

ი ყიდება საპიორების ბათალიონის მესამე როტაში. 3—2

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში არს. ქალანდაძის ქართული წიგნის მაღაზიაში და ყვირილაში ბლაღოჩინ დავით ლამბაშიძესთან სახელმძღვანელო წიგნი სოფლის მღვდლებთათვის, შესრულების დროს მათგან საიდუმლო ქორწინებისა და ნათლის ღების, დამატებითა სხვა და სხვა მღვდლისაგან მისაცემი მოწმობაების, საეკლესიო საბუთების, წარმოების ფორმებთა და ასოებზე დაწყობილი ყველა წმინდანების სახელითა მამათ სქესისა ცალკე და მდედრთა-ცალკე, ჩვენებითა მათი დღესასწაულობის დროთა.

შედგენილი მღვდლის დავით ლამბაშიძისაგან,

ფასი სამი აბაზი.

ეს წიგნი განიხილა უწმინდესის და უმართებულესის სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორამ და სასარგებლოდ და საჭიროდ იცნო ყველა მღვდლებთათვის.

6—3

რუსეთსა და ამერიკას შუა აღებ-მიცემობითი

ვაჭრობა



მ. ს. გეთანელი — დ. ა. ნეგლი

კომისიონური აგენტობა
გეთანელი და ამხ.
ფილადელფიაში (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში)
დაარსებულია 1874 წელს.

ამერიკაში მიაქვს:

რწყილის წამალი, მატყლი, გაუკეთებელი აბრეშუმი, კაკლის კუნძი ბზის ხე, სპარსული ხალიჩები და სხვა კავკასიისა და რუსეთის ნაწარმოები

ამერიკიდამ გამოაქვს:

სამეურნეო იარაღები, რკინისა და ფოლადის ხელობა და ყოველ გვარი მაშინები.

მთავარი აგენტები რუსეთისათვის ჰეინრიხ დისტონისა და შვილების სახერხავი მაშინებისა (Henry Disston et Sons' Keystoue Saw, Iool, Steel et Fil Works, Philadelphia) და ოცი სხვა ამერიკის საუკეთესო ფაბრიკებისა და ქარხნებისა.

ფირმის ადრესი ფილადელფიაში: Betanelly et C-°, 430 Walnut Street, Philadelphia, Pa. United States of America.

6—6





ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეობითს ქინო-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია გვერს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. ძლეჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსველებული თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

უველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

შოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმაროს ეს პომადა

პომადა
„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში კურილლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. უველაზე უფრო ეს პომადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. ღა 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

უველ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დანი, აშურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. შიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პომადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყველზე. BERTHAE RIES.



ხელის პომადა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრძა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—8

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	68	-	38	
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეკათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეკათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოქდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე
სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, დილით.
ოქდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოქდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოქდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—უველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—უველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

უველგან უველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან უველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 18 თებ.

	მან.	კაპ
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
ესკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი(პირველისესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	94	—
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	75
აქციები:		
ოქდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ყავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

თფილისი, 21 თებერვ.

	მან	კაპ
პური შორაგალის ფთ.	—	90
ქერი ფუთი. . . .	—	55
ბამბა პრევნისა, ფუთი .	5	40
— ამერიკისა, ფუთი. .	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	50
— მარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ძონი, ფუთი. . .	4	—
ძონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	63
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი ფუთი .	19	25
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	5	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	95

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 февраля 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.